**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# აბაშიძე ეკატერინე ივანეს ასული

აბაშიძე ეკატერინე ივანეს ასული (1808–1885), მეფე სოლომონ I-ის შვილიშვილის შვილი, იმერეთის აჯანყების 1819–20 გმირის ივანე აბაშიძის ქალიშვილი, როსტომ წერეთლის (1802–76) მეუღლე, აკაკის დედა. აკაკისავე გადმოცემით: „კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქნარე და მასთანაც კარგი აღმზრდელი“.

*ლიტ.*: აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, თხზულებანი, *ტ.* 4, პ. ინგოროყვას რედ., თბ., 1948; ა ს ა თ ი ა ნ ი  ლ., ცხოვრება აკაკი წერეთელისა, *გამოც.* მე-2, თბ., 1965.

***გ. შარაძე***